ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 01 / 10 / 111
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი 13 მაისი, 2011წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია), მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლაშა მერაბიშვილის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „კაპიტელი" (შემდგომში - მიმწოდებელი), მისი დირექტორის გიგა თორდინავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია (შემდგომში-შესყიდვის ობიექტი) სამუშაოს შესყიდვა.

1.2. სამუშაოს შესყიდვა გულისხმობს ქ. რუსთავის იუსტიციის სახლის (მის. ქ.რუსთავი, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია) პირველი სართულის დარბაზის იატაკის (ფართობი-410 კვ.მ.) კერამო გრანიტის ფილებით, წრიული ფიგურებით, პლინტუსით და ფერების გაწყობით მოპირკეთების სამუშაოების შესყიდვას.

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის (დანართი №2) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის მას.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 49 771.39 (ორმოცდაცხრაათასშვიდასსამოცდათერთმეტი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) ლარს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2011 წლის 25 მაისის ჩათვლით არსებული პერიოდის განმავლობაში

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. რუსთავი, ახალგზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია.

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მის მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემთხვევაში. წინასწარ გადასახდელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 70%-ს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით მაინც უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

5.4. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

- წერილობითი ფორმით მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შესაბამისი წერილობითი მოთხოვნიდან ორ სამუშაო დღეში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილე გია აბულაძე.

VIII. გარანტია

8.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს შედეგი – მოწყობილი იატაკის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 1 (ერთი) წელს.

8.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოწყობილი იატაკის ექსპლუატაციისას, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში განახორციელოს დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ 8.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

IX. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს დამატებით ვადას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის. თუ დამატებით ვადაშიც მხარე არ

ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. ხელშეკრულების ერთ მხარეს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.4. თუ ხელშეკრულების ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების მაქსიმალური ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, აგრეთვე წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ან აშკარაა რომ გაგრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

XI. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება შესყიდვის ობიექტის ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობის ფარგლებში.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 13 მაისიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

XIII. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყვეტს მოქმედებას თუ გავიდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთი მხარის მიერ ცალმხრივად:

13.2.ა. თუ მეორე მხარე დამატებით ვადაშიც არ ასრულებს ან არსებითად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

13.2.ბ. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას, როცა მეორე მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილ გარემოებებთან, ან შეუძლებელია შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა აუნაზღაუროს მიმწოდებელს აღნიშნულ გარემოებების დადგომამდე განხორციელებული მიწოდება.

13.2.გ. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას, ხელშეკრულების 10.2. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას მიმწოდებელს უნდა ანაზღაურდეს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომამდე მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის განხორციელებული მიწოდება.

XIV. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

14.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XV. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XVI. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

შემსყიდველი ორგანიზაცია:
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: ლაშა მერაბიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.№2
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ა/ა №008609114, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №202238621

შესყიდვების სამსახურის უფროსი ლ. მერაბიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „კაპიტელი"
უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი: გიგა თორდინავა
მისამართი: ქ.თბილისი, ჟორესის ქ.№6
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ა/ა №595352700, ბ/კ BAGAGE22, ს/კ №204981957

დირექტორი გ. თორდინავა

დანართი №1

თარიღი: 13 მაისი, 2011 წელი
მიმწოდებელი: შპს „კაპიტელი“

შემსყიდველი ორგანიზაცია: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/10/111

სამუშაოს შესრულების ადილი: ქ.რუსთავის იუსტიციის სახლი (მის. ქ.რუსთავი, ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორია)

სამუშაოს დასახელება: I სართულის დარბაზის 410კვ.მ. იატაკის მოპირკეთება კერამო-გრანიტის ფილებით, წრიული ფიგურებით, პლინტუსით და ფერების გაწყობით

ხარჯთაღრიცხვა

№ რიგზე	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა		ხელფასი		მასალა		მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი		ჯამი
			ნორმატივით ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	შრომის დანახარჯი	კაც/სათ	1.00	410.00	20.00	8200.00					8200.00
2	სხვადასხვა მანქანა	ლარი							2.80	1148.00	1148.00
3	მასალები: კერმიკული გრანიტი (უმაღლესი ხარისხი)	მ2	1.10	451.00			61.00	27511.00			27511.00
4	წებოცემენტი	კგ	9.50	3895.00			0.36	1402.20			1402.20
5	სხვადასხვა მასალა	ლარი									0.00
	ჯამი										38261.20
	ზედნადები ხარჯები არა უმეტეს		6%								2295.67
	ჯამი										40556.87
	გეგმიური დაგროვება არა უმეტეს		4%								1622.27
	ჯამი										42179.15
	დ.ღ.გ.		18%								7592.25
	სულ										49771.39

შპს „კაპიტელი“
დირექტორი

გიგა თორდინავა